სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

15 01 2014 №1/02

თბილისი

„2013 წლის ახალგაზრდა მეცნიერის“ გამოვლენის მიზნით

კონკურსის ჩატარების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის, აკადემიური საბჭოს 2013 წლის 13 ნოემბრის №998 დადგენილების და სტუ-ს სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის უფროსის, ბორის გითოლენდიას, მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი 2013 წლის სტუ-ს საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერის გამოვლენის მიზნით;
2. კონკურსში მონაწილეობის უფლება მიეცეთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის სწავლების საფეხურის 35 წლამდე ასაკის სტუდენტებს;
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა 2014 წლის 15 იანვრიდან 20 თებერვლის ჩათვლით საკონკურსო კომისიის სამდივნოში (სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსი, II სართული, ოთახი №242ბ) უნდა წარმოადგინონ საკუთარი პროფესიული ავტობიოგრაფია და 2013 წლის განმავლობაში სამეცნიერო სფეროში არსებული მიღწევების, წარმატებებისა და აქტივობების ამსახველი სრული დოკუმენტაცია;
4. კონკურსის გამარჯვებულის გამოსავლენად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   1. არჩილ ფრანგიშვილი (სტუ-ს რექტორი) - კომისიის თავმჯდომარე;
   2. ზურაბ გასიტაშვილი (სტუ-ს რექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში) - კომისიის წევრი;
   3. გიორგი ძიძიგური (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი) - კომისიის წევრი;
   4. დავით თავხელიძე (სტუ-ს მეცნიერების დეპატამენტის უფროსი) - კომისიის წევრი;
   5. ბორის გითოლენდია (სტუ-ს სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის უფროსი) - კომისიის მდივანი.

5. საკონკურსო კომისიამ შემოსული განაცხადების განხილვა და მასალების შესწავლა მოახდინოს 2014 წლის 20 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით;
6. კონკურსში გამარჯვებულ - პირველ ადგილზე გასულ დოქტორანტს - დაუფინანსდეს 1 სრული აკადემიური წლის სწავლის საფასური და გადაეცეს "2013 წლის ახალგაზრდა მეცნიერის" სპეციალური დიპლომი;
7. კონკურსის შედეგების მიხედვით მეორე ადგილზე გასულ დოქტორანტს დაუფინანსდეს 1 აკადემიური სასწავლო სემესტრის სწავლის საფასურის ნახევარი;
8. კონკურსის შედეგების მიხედვით მესამე ადგილზე გასულ დოქტორანტს დაუფინანსდეს 1 აკადემიური წლის სწავლის საფასურის მესამედი ნაწილი;
9. ფაკულტეტების დეკანებმა უზრუნველყონ დოქტორანტურის სწავლების საფეხურის სტუდენტების ინფორმირება კონკურსის შესახებ;
10. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gtu.ge და გამოიკრას ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას;
11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:

რექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში
ზ. გასიტაშვილი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ქ. ქოქრაშვილი

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ზ. მაისურაძე